პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 ივნისი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 119 (9786) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

მძიმე წონაში — „ოქრო“ და „ვერცხლი“

დავით გობეჯიშვილი.

კრასნოიარსკი. დამთავრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატი — ჩვენი ათლეტების გენერალური რეპეტიცია სეულის ოლიმპიადის წინ, მაგრამ ნაკრების შთავარ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს. ივან იარიგინს არ მიეცა საშუალება დაესახელებინა ოლიმპიური გუნდის შემადგენლობა. ამას მწვრთნელთა საბჭო გააკეთებს მოგვიანებით — 21 აგვისტოს.

საქმე ისაა, რომ კრასნოიარსკში ნაკრების ზოგიერთი წევრი არ ჭიდაობდა, კერძოდ, ტაშკენტელი არსენ ფაძაევი (68 კგ) და კიეველი სერგეი ბელოგლაზოვი (57 კგ). მათი მომზადების შესახებ, ამ ეტაპზე, მწვრთნელებმა არაფერი იციან. ტრავმების გამო ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიუღიათ მოსკოველ ადლან ვარაევსა (74 კგ) და ტაშკენტელ ასლან ხადარცევს (130 კგ). აქაც ერთგვარი გაურკვევლობაა.

სამმა შარშანდელმა ჩემპიონმა უმაღლესი ტიტული შეინარჩუნა. ესენია: ვლადიმერ თოგუზოვი, მახარბეკ ხადარცევი და ლერი ხაბელოვი. დანარჩენ წონით კატეგორიებში ლიდერთა ცვლა მოხდა.

ქვეყნის ჩემპიონის სახელი წონითი კატეგორიების მიხედვით დაისაკუთრეს: ერევნელმა გნელ შეჯლუმიანმა (48კგ), ორჯონიკიძელმა ვლადიმერ თოგუზოვმა (52 კგ), მინსკელმა კამალუდინ აბდულდაუდოვმა (57 კგ), კიროვაკანელმა სტეპან სარქისიანმა (62 კგ), მახაჩყალელებმა არტურ მუტალიბოვმა (68 კგ), ნასილ გაჯიხანოვმა (74), ჟორონეველმა ალექსანდრე ტამბოცევმა (82), ტაშკენტელმა ასპარუხ სადარცევმა (90 კგ), თბილისელებმა ლერი ხაბელოვმა (100 კგ) და დავით გობეჯიშვილმა (130 კგ).

ჩემპიონატის ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ აღიარეს ალექსანდრე ტამბოცევი.

საქართველოს სპორტსმენთა შედეგებზე ინფორმაცია წინა ნომრებში მივეცით. ბოლო დღეს მძიმე წონის მოჭიდავეთა ფინალში ზაზა თურმანიძე დავით გობეჯიშვილთან დამარცხდა და ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა. აქვე გიორგი გალდავამ მეოთხე ადგილი დაიკავა. მეოთხე ადგილზე გავიდა 82 კგ წონითი კატეგორიის წარმომადგენელი ავთანდილ გოგოლიშვილიც.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ივან იარიგინმა განაცხადა: „მე და ჩემს კოლეგებს საშუალება გვქონდა ოლიმპიელთა მზადყოფნა შეგვემოწმებინა. უმრავლესობამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ეს, პირველ რიგში, ითქმის მახარბეკ ხადარცევზე, ლერი ხაბელოვზე, დავით გობეჯიშვილზე, ალექსანდრე ტამბოცევზე, სტეპან სარქისიანსა და ვლადიმერ თოგუზოვზე.

ნაკრების შემადგენლობას 21 აგვისტოს დავასახელებთ, როცა სხვა მოჭიდავეთა მომზადებასაც საბოლოოდ შევაფასებთ.

როგორ ვიყენებთ სპორტულ გაზებს?

ენთუზიაზმიც ასეთი უნდა

როგორც ამას წინათ გაუწყეთ, სოფელ საქაშეთში (ვარიანის საბჭოთა მეურნეობა) გაიხსნა ახალი სპორტული კომპლექსი. მეურნეობის თავკაცების უშუალო ხელმძღვანელობით აქ ამიერიდან ყოველ შაბათს ჩატარდება სპორტული ზეიმი. ასე იყო გასულ შაბათსაც. ახალ სპორტულ სარბიელზე თავი მოიყარეს ქართული ჭიდაობის, ფეხბურთისა და ფრენბურთის მოყვარულებმა და გულშემატკივრებმა. სპორტსმენები ქომაგების ამალით ავტობუსებით ჩამოვიდნენ მეზობელი სოფლებიდან — სასირეთიდან, ახალდაბიდან, შინდისიდან, ვარიანიდან. თვით საქაშეთელები კი უკლებლივ გამოცხადდნენ ზეიმზე. მეზობელი სოფლების ამხანაგურ შეხვედრებში გათამაშდა სამახსოვრო პრიზები. ეიურის წევრებს შორის იყვნენ როგორც ვარიანის საბჭოთა მეურნეობის, ისე მეზობელი სოფლების თავკაცები.

ენთუზიაზმიც ასეთი უნდა!

გულიკო ელბაკიძე.
„ლელოს“ კორ.

გორის რაიონი,
სოფ. საქაშეთი.

ვლადიმერ გაბრიჩიძე და დავით კაჭარავა

იურმალა. ჩოგბურთელთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა სპორტსმენების გარდა მონაწილეობდნენ ბულგარეთის, გდრ-ის, შვეიცარიისა და ეთიოპიის წარმომადგენლები.

კარგად იასპარეზა ვლადიმერ გაბრიჩიძისა და დავით კაჭარავას წყვილმა. ჩვენმა ჩოგბურთელებმა ყველა წინასწარი შეხვედრა მოიგეს, ფინალში კი მძაფრ ბრძოლის შემდეგ თომას ემერიჰისა (გდრ) და კონსტანტინე პუგაევის (მოსკოვი) ინტერნაციონალურ დუეტს აჯობეს და პირველი ადგილი დაიკავეს — 6:7, 7:6, 7:5.

ორმაგი გამარჯვება მოიპოვა მოსკოველმა იულია სალნიკოვამ. მან ჯერ ერთეულთა შეჯიბრება მოიგო (ფინალში ერევნელი ელენა გიშიანი დაამარცხა 6:4, 3:6, 7:5), მერე კი ლიუდმილა ეშმანოვასთან (მოსკოვის ოლქი) ერთად წყვილთა ფინალში ტალინელ ჩოგბურთელებს კაიუ კინდისა და მად სტამბერგს აჯობა 7:6, 6:3.

ვაჟთა ერთეულებში გამარჯვება უუგოროდელმა იოსებ კროჩკომ მოიპოვა. მან გადამწყვეტ შეხვედრაში რიგელ ალვის ზილგალეისს მოუგო 6:0, 6:2.



ვლადიმერ გაბრიჩიძე



დავით კაჭარავა.

Советский спорт

ციტატა

19 ივნისის ნომერში გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ რუბრიკით „ოლიმპიური წლის პორტრეტები“ დაბეჭდა წერილი „ველოსიპედი... ვიოლინოს ფუტლარში“. წერილის გმირია ცნობილი ქართველი ველომრბოლი ოთარ მჭედლიშვილი, რომელმაც წლევანდელ ოლიმპიურ წელსაც მრავალი წარმატება მოიპოვა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში.

ოთარი მრავალმხრივი ნიჭითაა დაჯილდოებული: სკოლაში სწავლისას მონაწილეობდა მათემატიკურ ოლიმპიადებში, მოწინავეთა შორის იყო მუსიკალურ სკოლაშიც, ჰქონდა მშვენიერი სპორტული მონაცემები... და აი, „მეათე კლასში ოთარმა არჩევანი გააკეთა. თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში გამოსვლა შესთავაზეს — გუნდს „ჩამთვლელი“ სჭირდებოდა. ოთარმა მოიგო სპრინტი, გიტი, ინდივიდუალური რბოლა გამოდევნებით და გუნდური რბოლა გამოდევნებით კვარტეტის შემადგენლობაში. ეს სენსაცია იყო!“

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ...

რამ გაგახარათ, რამ დაგწყვიტათ გული?

13-20 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

გასულ კვირაში რამდენიმე საინტერესო ამბავი შევიტყეთ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენების წარმატებების შესახებ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში. მივუყვეთ თანმიმდევრულად. შესანიშნავი მხროლელის, ხეულის ოლიმპიური თამაშების კანდიდატის ნინო სალუქვაძის წარმატებებს უკვე შევეჩვიეთ. ქვეყნის ჩემპიონატში მოპოვებულ მედლებს ნინომ ამ ასპარეზობაში მოპოვებული კიდევ რამდენიმე ჯილდო შემატა — ამჯერად იგი უძლიერესი იყო პნევმატური პისტოლეტის სროლაში და მპ-10 ვარჯიშში. კვლავ გაგვახარა ვ. იაგორაშვილმა. ვახტანგმა თანამედროვე ხუთჭიდელთა ღია საკავშირო პირველობა მოიგო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ღირსეული კანდიდატია ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში. ველოსპორტის მოყვარულები აღფრთოვანებულნი არიან ჩვენი ჭაბუკების წარმატებით, რედაქციაში კვლავ მოდის მათი მისამართით მადლობის წერილები. ამახობაში კი ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით გოგონათა ასპარეზობაც დაიწყო კიშინიოვში, სადაც ქობულეთელმა სტელა პრიახინამ ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ლერი ხაბელოვი და დავით გობეჯიშვილი სსრ კავშირის ჩემპიონები არიან, ზაზა თურმანიძემ მეორე ადგილი დაიკავა — ასეთია ქვეყნის ჩემპიონატის შედეგები თავისუფალ ჭიდაობაში. ხაბელოვისთვის და გობეჯიშვილისთვის, როგორც ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებისთვის, ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი წარმატება.

ფეხბურთის გულშემატკივრებს იმედი ჩაესახათ. ფედერაციის თასზე ბაქოს „ნეფთჩისთან“ შინ გამართულ მატჩში თბილისის დინამოელებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს ვიდრე წინა მატჩებში. გულშემატკივარს სწამს, რომ ჩვენს გუნდში მალე გამოსწორდება მდგომარეობა. გულშემატკივრები ასევე დიდ ინტერესს იჩენენ ქუთაისის „ტორპედოს“ მიმართ.

აქვე ვიტყვით: მკითხველთა ერთი ნაწილი უკმაყოფილოა, რომ „ლელოში“ ზოგჯერ სრული ტექსტით არ ვაქვეყნებთ გულშემატკივართა კრიტიკულ წერილებს, რომელიც ჩვენი „დინამოს“ წინააღმდეგაა მიმართული. ამასთან, რედაქციაში კვლავ და კვლავ მოდის წერილები, სადაც ავტორები მხარს უჭერენ და წარმატებას უსურვებენ დინამოელთა მთავარ მწვრთნელს დ. უიფიანს.

ბევრ მკითხველს გულს კეენს ჩვენი ხელბურთელების სამარცხვინო კრახი ქვეყნის წლევანდელ ჩემპიონატში. ამ საკითხზე „ლელოს“ კრიტიკული გამოხვლის შემდეგ რედაქციაში მოდის წერილები, რომლებშიაც გულშემატკივრები მოითხოვენ მკაცრი ღონისძიებების გატარებას.

გასული კვირის მოვლენების შესახებ რედაქციას თავიანთი აზრი გაუზიარეს: მ. ცაგარელმა, ბ. ზარიძემ, ს. გველესიანმა (ყველა—თბილისი), გ. ჯაველიძემ (ბორჯომი), ი. ლაბაძემ (ხაშური), მ. შუმლაძემ (ზესტაფონი), თ. აბაშიძემ (თერჯოლა), ი. ხერხეულიძემ (მარნეული), ე. ბიწაძემ (ქიათურა), ვ. კიკვიძემ, ე. ლილუაშვილმა (ორივე — ქუთაისი), კ. კილასონიამ (სოხუმი) და სხვებმა.

პიონერული ზაფხული-88 ◎ თბილისის პიონერთა ბანაკების საქალაქო სპარტაკიადა

ექვს სახეობაში

სისხლსავსე ცხოვრება აქვთ თბილისის პიონერთა ბანაკებს. მოსწავლეებს დიდხანს, ძალიან დიდხანს დაამახსოვრდებათ აქ გატარებული პიონერული ზაფხული. მათ მეხსიერებაში განსაკუთრებით ჩაებეჭდებათ პიონერთა ბანაკების საქალაქო სპარტაკიადა, რომლის საზეიმო გახსნა გუშინ, თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში გაიმართა.

სპარტაკიადის პროგრამაშია: ცურვა, მინიფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, შაში და ჭადრაკი.

გუშინვე ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში გაიმართა მოცურავეთა შეჯიბრება, რომელშიც ქალაქის ყველა რაიონის პიონერთა ბანაკის აღსაზრდელები გამოდიოდნენ. ასპარეზობაში ყველას საბურთალოს რაიონის წარმომადგენლებმა აჯობეს.

დღეს კიროვის პარკში თავს მოიყრიან მინიფეხბურთელები და პირველობისთვის ბრძოლაში ჩაებმებიან.

თამარ ლოხიშვილი.



ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲘ—88
ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲔᲑᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲕᲝᲚᲔᲑᲐᲚᲔᲑᲐᲨᲘ

ᲕᲔᲜᲓᲝᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ!

რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე ახლა ყველგან გამოცოცხლებაა. ზოგან აბიტურიენტები დიდი მონდომებით ემზადებიან ფიზიკურ მომზადებაში ნორმატივების ჩასაბარებლად, ბევრი კი, ვინც თავის შესაძლებლობებში უკვე დარწმუნებულია, თამამად გადის კომისიის წინაშე და უკან გაწბილებული არ ბრუნდება.

გუშინ დილით თბილისში, სამედიცინო ინსტიტუტის სპორტულ ბაზაზე დავესწარით აბიტურიენტთა შემოწმებას. არც ერთი ახალგაზრდა არ შეგვხვედრია, წინასწარი მომზადების გარეშე რომ გასულიყო ჩათვლის მისაღებად. ანიკო ბედოშვილი დუშეთიდან ჩამოვიდა, სამედიცინო ინსტიტუტში აბარებს. ათ დღეს ინტენსიურად ვვარჯიშობდი და სულაც არ გამჭირვებია ნორმატივების ჩაბარებაო, — გვითხრა მან. მაგრამ ჩვენ იქვე ვკითხეთ: „აი, ჩათვლა მი-

ლეთ, თქვენი ურთიერთობა ფიზიკურ კულტურასთან ამით ამოიწურება?“ „არა, რას ბრძანებთ, ვარჯიშს გავაგრძელებ. კარგად გამიგეთ, თურმე ზოგჯერ ადამიანი უნდა აიძულო, რომ რაღაც დიდი სიკეთე შეიგრძნოს თუ შეიცნოს. ალბათ, აბიტურიენტებიც ასე ვართ“, — მოგვიგო ნორმატივების ჩაბარებით გახარებულმა დუშელმა გოგონამ.

იქვე გავესაუბრეთ ზესტაფონელ მშობელს დარეჯან ებანოიძეს. ზესტაფონელებს კიდევ ერთი მისაბაძი თაოსნობა გამოუჩენიათ. ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის გიზო ბუხნიკაშვილის ინიციატივით ფიზალზრდის მასწავლებლები და პედაგოგიური კოლექტივის აქტივისტები ფეროშენადნობთა ქარხნის სტადიონზე ყოველდღიურად საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებდნენ არა მარტო ამ სკოლის, არამედ სხვა სკოლების იმ მოსწავლეებსაც, რომლებიც წელს მისაღებ გამოცდებს აბარებენ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს გუშინ დილით შემთხვევით როდი ვეწვიეთ. გვსურდა გაგვეგო, ჰქონდა თუ არა საფუძველი იმ უსიამოვნო მითქმა-მოთქმას, რასაც ახლა აბიტურიენტებსა და მათს მშობლებში ხშირად გაიგონებთ. რამდენიმე ფაქტს მოვიტანთ, რისი მოწმეც თავად გავხდით და ადვილად დარწმუნდებით, რამდენად უსაფუძვლოა ჭორები. ერთმა მშობელმა ჩვენი თანდასწრებით წარმოადგინა ჩათვლის ბარათი: აბიტურიენტს ორი ნორმატივი ჰქონდა ჩაბარებული და ახლა მესამის ჩაბარებას ითხოვდა. კომისიამ ამაზე უარი უთხრა, რადგან ის ორი ნორმატივი სხვა კომისიასთან იყო ჩაბარებული და უთხრეს, ისევ იმ კომისიისთვის მიეკითხა. ალბათ ასეთი შემთხვევის შემდეგ გავრცელდა ხმა, თითქოს სამედიცინო ინსტიტუტში სხვა კომისიასთან ჩაბარებულ ნორმატივებს არ უთვლიან იმათ, ვინც ამ ინსტიტუტში შედის და მოითხოვენ შემოწმებაზე განმეორებით გასვლას. კომისიის წევრებმა ადრინდელი შემთხვევაც გაიხსენეს: აბიტურიენტმა ბუქნში ნორმატივით ჩასათვლელი რაოდენობა შეასრულა და შეაჩერეს, აღარ გადაღალეს, ამას მოჰყვა მშობლის პროტესტი, რომ ბავშვს მეტის გაკეთება შეეძლო და შეაწყვეტინეს. ეს გახდა მიზეზი ახალი ჭორისა — აბიტურიენტებს შეფასებას აკლებენო. შეგახსენებთ, ნიშანს მნიშვნელობა არა აქვს. იყო სხვა წვრილმანიც, რომელზედაც არ ღირს ყურადღების გამახვილება. ჩათვლების მიმღები კომისიები სამედიცინო ინსტიტუტში და სხვაგან ყველაფერს აკეთებენ, რომ აბიტურიენტებს შესაძლებლობების სრული გამოვლენის საშუალება ჰქონდეთ. თუმცა, ზოგიერთი მშობელი, რომელსაც თავი ყოვლისშემძლედ მიაჩნია, შეიძლება მართლაც ცდილობს ვინმესთან რაიმე „გაახერხოს“, შვილი „არ გააწვალოს“, და ა. შ. ეს უკვე დანაშაულია, იმ დიდი საქმის ღალატია, რომელიც ასეთი დიდი ენთუზიაზმით წამოვიწყეთ, ამიტომ პირველ ყოვლისა, გვინდა მშობლებს ვუთხრათ: თავი შეიკავეთ უსიამოვნო აჟიოტაჟისაგან, ნუ შეუშლით ხელს ნურც შვილებს და ნურც კომისიის წევრებს — ფიზიკურ მომზადებაში შემოწმება, პირველ ყოვლისა, თქვენი შვილებისთვისაა საჭირო. ვენდოთ ერთმანეთს.

უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა არც ერთ საქმეში არ არის სასურველი. ვიყოთ უფრო პრინციპულნი და კონკრეტულნი: თუ ვინმე სამმე უკანონობას და არაობიექტურობას ამჩნევს, პირდაპირ ვთქვათ, ვთქვათ ისე, როგორც დღევანდელ დღეს, საჯაროობას შეეფერება.



ᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲚᲘᲛᲔᲑᲡ ᲞᲔᲓᲘ „ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ“?

საგოთა კავშირის აფროსანთა ნაკრების მწვრთნელთა საბჭოს ჩანაფიქრით, „ვარსკვლავის“ კლასში ოლიმპიური საგზურის მფლობელის ვინაობა აქამდე უნდა გარკვეულიყო.

„აქამდე“-ში იგულისხმება აფროსანთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელიც ახლახან დამთავრდა სევასტოპოლში.

განა ტყუილად ამბობენ აფროსნები, ჩვენს სახეობაში პროგნოზირება ერთობ სარისკო საქმეაო და განა ტყუილად ეთანხმებიან სხვებიც — ქარის მდევნელებს გული საგულეს როგორ გექნებათო.

მწვრთნელთა საბჭოს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა, ნაკრების ხელმძღვანელთა გეგმები და პროგნოზები თავდაყირა დადგა.

ჩემპიონატის დაწყებამდე „ვარსკვლავის“ კლასში საკავშირო ნაკრების მწვრთნელი თემურ მელაძე მოვინახულეთ და ამ დეტექტური სიუჟეტივით ჩახლართულ სიტუაციაში გარკვევა ვთხოვეთ.

● დავიწყოთ იმით, რაც კარგად ცნობილია: მწვრთნელთა საბჭომ „ვარსკვლავის“ კლასში ოლიმპიადაზე გამგზავრების ყველაზე რეალურ პრეტენდენტებად გურამ ბიგანიშვილი და ლენინგრადელი ვიქტორ სოლოვიოვი დაასახელა და მათი ორთაბრძოლის პირობებიც დადგა — აფროსნებს ჯერ იტალიის ორ ტრადიციულ საერთაშორისო რეგატაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა, აქ ნაჩვენები შედეგებით უნდა გამოვლენილიყო უძლიერესი, რომელიც, უკვე ფავორიტის რანგში, იუგოსლავიაში, ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებდა.

— თავდაპირველად ასეც მოხდა: ბიგანიშვილი და სოლოვიოვი გაემგზავრნენ იტალიაში, სადაც ორ პრესტიჟულ რეგატაში მიიღეს მონაწილეობა. პირველი იყო გარდის რეგატა, რომელშიც თერთმეტი ქვეყნის ოცდაათი ეკიპაჟი გამოდიოდა. ამ ორ რიცხვს შემთხვევით არ ვასახელებ: საქმე ის გახლავთ, რომ ოლიმპიადაზე ყველა ქვეყანას მხოლოდ ერთი ეკიპაჟის გამოყვანის უფლება ეძლევა, ასე რომ, მწვრთნელთა საბჭო ითვალისწინებდა არა მარტო რბოლის საერთო შედეგს, არამედ ქვეყნებს შორის დაკავებულ ადგილსაც. ამ რეგატაში ბიგანიშვილმა სოლოვიოვზე უკეთ იასპარეზა: ეკიპაჟთა კონკურსში მან დაიკავა მეექვსე ადგილი, რაც ქვეყნებს შორის მესამე ადგილს უდრიდა. სოლოვიოვმა, შესაბამისად, მეჩვიდმეტე და მერვე ადგილები დაიკავა. ამის შემდეგ აფროსნებმა ქალაქ ანკოს აკვატორიაში გამართულ რეგატაში იასპარეზეს. აქ, ჩვენდა სამწუხაროდ, როლები შეიცვალა: გურამმა შეჯიბრება ეკიპაჟთა შორის მეთექვსმეტე, ქვეყნებს შორის კი მეშვიდე შედეგით დაამთავრა, სოლოვიოვი კი მეშვიდე და მეხუთე ადგილებზე გავიდა.

● როგორც ჩანს, მწვრთნელ საბჭომ უპირატესობა ანკოს რეგატას მიანიჭა, ვინაიდან ევროპის ჩემპიონატზე სოლოვიოვი „გამგზავრა.

— ნაკრების ხელმძღვანელებმა ეს გადაწყვეტილება ასე დაასაბუთეს: გარდის რეგატა ტბაზე მოეწყო, ანკოსი კი ღია ზღვაში. აფროსანთა ოლიმპიური შეჯიბრებაც ღია სივრცეში, ოკეანეში უნდა ჩატარდეს, ამიტომ უპირატესობა სოლოვიოვის უკეთეს შედეგს უნდა მიენიჭოსო.

● დავუშვათ, ეს ლოგიკურია, მაგრამ როგორ ავხსნათ ის გარემოება, რომ ევროპის ჩემპიონატზე სოლოვიოვთან ერთად გაემგზავრნენ ვიქტორ პოტაპოვი და სერგეი ხორეცკი, ბიგანიშვილი კი, რომელსაც სოლოვიოვთან ორთაბრძოლაში, ფაქტობრივად, საყაიმო შედეგი ჰქონდა, სახლში დარჩა.

— ევროპის ჩემპიონატზე სოლოვიოვი გაემგზავრა საკავშირო სპორტსახკომის ხარჯზე, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი პოტაპოვი და ბელორუსელი ხორეცკი კი ამ რესპუბლიკებმა თვითონ, სპორტსახკომისგან დამოუკიდებლად გაგზავნეს. სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკას ამის საშუალება არ აღმოჩნდა. სპორტსახკომს კიდევ ერთი სპორტსმენის გაგზავნა რომ შესძლებოდა, ევროპის ჩემპიონატში ბიგანიშვილიც იასპარეზებდა. როცა ცნობილი გახდა, რომ ამ შეჯიბრებაში პოტაპოვიც აპირებდა გამოსვლას, მწვრთნელთა საბჭომ, მისი მომზადების დონის შესამოწმებლად, მოაწყო საკონტროლო რბოლები, რომელთა დასასრულს ნაკრების მწვრთნელებმა ერთხმად უარყვეს პოტაპოვის ევროპის ჩემპიონატზე გაგზავნის მიზანშეწონილობა. მწვრთნელებმა ასეთი წინადადება წამოაყენეს — ევროპის ჩემპიონატზე პოტაპოვის ნაცვლად გამოსულიყო გურამ ბიგანიშვილი და ეს მოსაზრება საკავშირო სპორტსახკომსაც აცნობეს. რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა, ცხადია, ეს წინადადება უარყვეს.

● ახლა ის გვითხარით, როგორ იასპარეზეს ამ აფროსნებმა იუგოსლავიაში?

— შედეგები მოულოდნელი, პარადოქსულიც კი იყო, მაგრამ, მოგეხსენებათ, აფროსნობაში ასეთი რამ არც თუ იშვიათია. პატაპოვმა მეცხრამეტე ადგილი დაიკავა, ხორეცკიმ — ოცდამეცხრამეტე, სოლოვიოვი კი საბოლოო შედეგების ცხრილის მეხუთე ათეულში აღმოჩნდა. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ სევასტოპოლში მოეწყო საბჭოთა კავშირის ნაკრების შეკრება. სადაც მწვრთნელებმა ამ შეჯიბრების შედეგებზეც იმსჯელეს. „ვარსკვლავის“ კლასის წარმომადგენელთა გამოსვლამ ძალზე კრიტიკული შეფასება დაიმსახურა. მწვრთნელთა საბჭოს სხდომაზე კვლავ გამოკვეთა ასეთი აზრი: ევროპის ჩემპიონატზე ბიგანიშვილის გაგზავნა აუცილებელი იყო. ასეა თუ ისე, მწვრთნელებს ერთი გამოსავალი ღა დარჩათ და „ამაზე შეთანხმდნენ: ყველაფერი გადაწყვიტოს სევასტოპოლში გამართულმა აფროსანთა საკავშირო ჩემპიონატში, საბოლოოდ აქ გაირკვეს ოლიმპიური საგზურის ყველაზე რეალური პრეტენდენტის ვინაობა. ჯერჯერობით აი, ასეა საქმე. ვნახოთ, ვის გაუღიმებს ბედი სევასტოპოლში და რა იქნება მომავალში.

● ● ●

დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი, განაწილდა ადგილები — სოლოვიოვმა პირველი ადგილი დაიკავა, ბიგანიშვილმა — მეოთხე, მაგრამ მწვრთნელთა საბჭო კვლავ დილემის წინაშე აღმოჩნდა — ჩემპიონატის დღეებში სევასტოპოლში ისეთი მშვიდი, უქარო დარები იდგა, სპორტსმენთა შესაძლებლობების სრულ გამოვლენასა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. საკითხი კვლავ ღიად დარჩა, ოლიმპიური საგზურის პრეტენდენტთა „ოდისეა“ გრძელდება. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მწვრთნელთა საბჭოს სხდომაზე ითქვა: ნუ ავჩქარდებით, სადაც ამდენი, ცოტა კიდევ მოვითმინოთ. კილისა და ანკოს რეგატები კარს მოგვადგა, სოლოვიოვი და ბიგანიშვილი ისევ შეეჯიბრიან ერთმანეთს და ვინც საბოლოოდ იმარჯვებს, პუსანშიც (სამხრეთ კორეის ქალაქი, სადაც ოლიმპიური რეგატა ჩატარდება) ის გაემგზავროსო.

თ. შენგელია.

ᲒᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲒᲖᲔᲑᲘᲗ— ᲒᲣᲚᲑᲐᲠᲔᲗᲘᲡᲙᲔᲜ

გულბარეთის სახალხო რესპუბლიკის საკურორტო ქალაქ ვარნაში ყოველწლიურად ეწყობა საერთაშორისო შეჯიბრება აფროსნობაში გიორგი დიმიტროვის სახელობის თასზე. ამ რეგატაში, ტრადიციულად, საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობენ. წლევანდელ შეჯიბრებაში კი პირველად იასპარეზებენ საქართველოს წარმომადგენლები.

იმ დღეს დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ბათუმის სანაპიროზე. ისინი შორეულ ნაოსნობაში აცილებდნენ პირველი კლასის აფრიან ნავებს — „იბერიას“, „აჭარასა“ და „კორსარს“.

ვიდრე აფრებს აუშვებდნენ, გავესაუბრე დელეგაციის — საერთო ხელმძღვანელს ედუარდ ქიქავას.

— სამივე ნავის ეკიპაჟში 22 კაცია, — გვითხრა მან. — ქართველი, რუსი, სომეხი, ოსი, ბერძენი, უკრაინელი... ერთი სიტყვით, ჰეშმარიტად ინტერნაციონალური შემადგენლობით მივემგზავრებით პრესტიჟულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე. ეკიპაჟთა წევრები სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები არიან. ჩვენთან ერთად იქნება საიალქნო სპორტის ვეტერანი, 76 წლის ნიკოლოზ კადეიკი.

◎ ასეთი ნაოსნობა, ცხადია, გარკვეულ ხარჯებს ითვალისწინებს. ვინ დაგაფინანსათ?

— შეჯიბრებაზე ჩვენი გამგზავრების თაოსანია საქართველოს საზღვაო სანაოსნო.

◎ როდის ჩაიშვებთ ღუზას ვარნაში?

— თუ ყველაფერი გეგმის მიზედვით წარიმართა, 10 დღეში ადგილზე ვიქნებით. ჯერ დიმიტროვის თასის გათამაშებაში გამოვალთ, შემდეგ, თუ დრო დაგვრჩა — ჩვენ ხომ ყველანი კუთვნილ შვებულებაში ვიმყოფებით — მონაწილეობას მივიღებთ იქვე გამართულ შეჯიბრებაში „ვარნა-88“.

◎ ზურგჭარსა და წარმატებას გისურვებთ.

— გმადლობთ.

ლევან ᲙᲐᲕᲫᲐᲠᲐᲫᲔ.
(„ლელოს“ ხაკ. კორ.).

ბათუმი.

ᲛᲘᲖᲜᲘ — ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ

ᲗᲔᲕᲖᲐᲝᲑᲐᲡ ᲠᲐ ᲨᲔᲓᲐ...

დადგა ზაფხული და საგრძნობლად გამოცოცხლდა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. ქუთაისში საქალაქო სპორტკომიტეტისა და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების კოლექტივების თაოსნობით საინტერესო მასობრივი ღონისძიებები ტარდება. განსაკუთრებული აქტიურობა იგრძნობა დასვენების დღეებში და ეს ბუნებრივიცაა — მუშა-მოსამსახურეებისთვის ბუნების წიაღში დასვენების პირობებს შექმნა-ზომ უპირველესი მნიშვნელობის საქმეა.

ყოველ შაბათ-კვირას ლენინისა და ავტოქარხნის რაიონების კულტურულ-სპორტული კომპლექსები და ტურისტული კლუბი „ოქროს ჩარდახი“ აწყობენ მასობრივ გასვლებს ჯანმრთელობის ბილიკებზე. ყველა საწარმოს, სასწავლებლის, ორგანიზაციის წარმომადგენლებს იწვევენ სპორტულ ბაზებზე. სპორტულ ღონისძიებათა გეგმაგრაფიკი სისტემატურად იბეჭდება ადგილობრივ გაზეთში და ფიზკულტურის ენთუზიასტებს მდიდარი არჩევანის საშუალება აქვთ.

ასე იყო ახლაც, როცა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საქალაქო საბჭომ მდინარე გუბისწყლის ხეობაში ჩაატარა საქალაქო პირველობა სპორტულ თევზჭერაში. ამ ქალაქის ოცამდე ფიზკულტურული კოლექტივის 300-ზე მეტმა წარმომადგენელმა მოიყარა თავი.

წინასწარ შერჩეულ ადგილზე მალე „აღმოცენდა“ ტურისტული ბანაკი. მობანაკეებმა ჯერ მასობრივი სპორტული შეჯიბრებები გამართეს, გვიან საღამოს კი მეგობრობის კოცონი ააგიზგიზეს და მხატვრული თვითმოქმედების კონკურსიც ჩაატარეს. თუმცა, ამ საერთო მხიარულებაშიც შეამჩნევდით, რომ მეთევზეები ხვალინდელ დღეზე ბჭობდნენ და ათასგვარ გეგმებს აწყობდნენ გამარჯვების მომტანი „დიდი თევზის“ მოსანადირებლად. მაგრამ, კაცი ბჭობდაო... ბევრის მნახველ და, რაღა დაგამალოთ, მიუნჰაუზენივით „მართალ“ გამოცდილ მეთევზეებს გამარჯვებისა და პრიზის მოპოვების ყველა შანსი გადაუწურა პატარა ავთანდილ გამრეკლიძემ, რომელსაც იმ წუთებში და-ძმებთან ერთად ტკბილად ეძინა მამის მიერ გაშლილ კარავში, თუმცა ამაზე ქვემოთ...

შეჯიბრება დილის 5 საათზე დაიწყო. 7 საათის განმავლობაში ძუას შეჰყურებდნენ და ბედს შენატროდნენ „ღლავის“ მოლოდინში გარინდებული მეთევზეები.

კომპეტენტურ ჟიურის ფუთიანი საწონები არ დასჭირვებია, გამარჯვებულებისა და პრიზიორების გამოსავლენად ხელის სასწორიც საკმარისი აღმოჩნდა.

ყველაზე მძიმე ნადავლი აღმოაჩნდათ ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების კოლექტივის გუნდის წევრებს და პირველი პრიზი — ბროლის თასი, გეგრიელი „უხა“ და შემწვარი წვერა მათ ერგოთ. გამარჯვებულებს გრამებით, სულ რაღაც ერთი ლიფსიტით ჩამორჩნენ და II-III ადგილები გაიყვეს რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის, ავეჯის კომბინატისა და ბამბის საქსოვი საწარმოო გაერთიანების მეთევზეთა გუნდები.

ყველაზე პრესტიჟული, მოგეხსენებათ, პირად პირველობაში გამარჯვებაა. მეთევზეთაგან რჩეულის წოდება დაიმსახურა შეჯიბრების ყველაზე უმცროსმა მონაწილემ ავთანდილ გამრეკლიძემ. იგი მამის, ავტოტრანსპორტელთა გაერთიანების ტაქსმოტორის საწარმოს მექანიკოსის ბ. გამრეკლიძის გუნდში გამოდიოდა, თევზჭერაში მონაწილეობის უფლება კი სწავლაში სიბეჯითით დაიმსახურა და აქაც იმარჯვა — მისი დაჭერილი მტკაველა წვერები 3 კგ-ს იწონიდა.

თამაზ ᲑᲐᲠᲐᲑᲐᲫᲔ.
(„ლელოს“ ხაკ. კორ.).

ქუთაისი.



წინ ნახევარფინალებია!

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატში დამთავრდა ბრძოლა წინასწარ ჯგუფებში. საკუთარი თვალით ვიხილეთ რაც კი სტადიონებზე ხდებოდა და გარკვეული შთაბეჭდილებაც შეგვექმნა ამ დიდმნიშვნელოვან საფეხბურთო შეჯიბრებაზე. ერთი რამ ცხადი და უდავოა: ფინალურ გათამაშებაში მონაწილე ყველა რვა გუნდი მეტნაკლებად თანაბარი სიძლიერისა იყო, თითოეულმა მათგანმა მაღალი კლასი აჩვენა. დღემდე ჩატარებული 12 მატჩიდან მხოლოდ ხუთი დამთავრდა 2 ბურთის უპირატესობით, ორი — ფრედ, დანარჩენ შემთხვევებში გამარჯვებულს მხოლოდ მინიმალური სხვაობა ავლენდა და მაშინაც კი, როცა მოგებულ გუნდებს აქტივში 2 გოლი ჰქონდათ, აშკარად იგრძნობოდა ძალთა საერთო თანაბრობა, საერთო მაღალი კლასი.

ისეთი რანგის შეჯიბრებებში, როგორიცაა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, როგორც წესი, ვლინდებიან ახალი ტალანტები, ახალი სახელები, ყოველ გუნდს ჩამოჰყავს ხოლმე „ვიღაც“ უცნობი ახალგაზრდა, რომელიც სწორედ ამ უმაღლეს ასპარეზზე აჩენს თავის უნიკალურ მონაცემებს და შესაძლებლობებს.

ვინ არიან ისინი? ახლა ამაზე ლაპარაკი იოლი არაა, ვინაიდან წინ ნახევარფინალებია და შემდეგ — ჩემპიონატის მთავარი მატჩი, ფავორიტებიც სწორედ იქ იტყვიან თავიანთ გადამწყვეტ სიტყვას. მხოლოდ ფინალური მატჩი გამოავლენს საუკეთესოთა შორის საუკეთესოს, რომელმაც საზეიმოდ უნდა ჩაიბაროს ევროპის ჩემპიონატის უძლიერესი ფეხბურთელისთვის დაწესებული გამორჩეული პრიზი: „ოპელ-ომეგა 3000“-ს უახლესი მოდელის სუპერ-ავტომანქანა.

ჯერჯერობით კი მიმომხილველებს „ტექნიკური ფეხბურთის მეფის“ ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად იტალიელთა ბრწყინვალე თავდამსხმელი ჯ. ვიალი მიაჩნიათ. გამოვლინდა ნახევარფინალის ოთხი მონაწილე, რომლებიც იბრძოლებენ ფინალის საგზურისთვის. ახლაც, როცა ჩემპიონატში სულ 3 მატჩი დარჩა, ძალზე ძნელია გამარჯვებულის დასახელება. ვინ: გფრ თუ ჰოლანდია, იტალია თუ სსრ კავშირი? ვინ ითამაშებს 25 ივნისს ფინალში მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე? ძალზე ძნელი სავარაუდოა!

ზოგიერთი ავტორიტეტი ეჭვს გამოთქვამდა, რომ ჰოლანდიელებთან მოგებულ უძნელეს სასტარტო მატჩს საბჭოთა ფეხბურთელებმა მთელი თავიანთი ძალა და უნარი შეალიეს, ამიტომაც ძალზე უფერულად, დუნედ ითამაშეს ირლანდიის გუნდთან და დიდი გაჭირვებით შეძლეს უაღრესად საჭირო ქულის მოპოვება. იმასაც იხსენებდნენ, რომ მსგავსი ამბავი ჩვენს გუნდს ადრეც მრსვლია, წინა წლებშიც იყო შემთხვევები, როცა შეჯიბრების დასაწყისში ნაჩვენები საბრძოლო, ენერგიული თამაშის შემდეგ მას დაუთმია პოზიციები. მაგრამ ახლა მთავარი ისაა, რომ ინგლისის ნაკრებთან ბოლო მატჩში ჩვენი ფეხბურთელები მობილიზებულნი და ენერგიულნი იყვნენ და სწორედ ამ გადამწყვეტ მატჩში გამოავლინეს თავიანთი საბრძოლო მზადყოფნა.

სსრ კავშირისა და ინგლისის ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტები.

საკდეს-საქინფორმის ფოტოები.

გფრ-ის 277 ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში გამოკითხულთა 52 პროცენტი ევროპის ჩემპიონობას გფრ-ის გუნდს უწინასწარმეტყველებდა, 27 პროცენტი გამარჯვებას იტალიის ნაკრებისგან მოელოდა. ესენი ფავორიტები იყვნენ, შემდეგ კი მოდიოდნენ „მეორეხარისხოვანი“ პრეტენდენტები: ესპანეთი — 11 პროცენტი, სსრ კავშირი — 7 პროცენტი, ჰოლანდია — 2 პროცენტი და ირლანდია — 1 პროცენტი.

მაგრამ ეს გამოკითხვა შეჯიბრების დაწყებისას მოეწყო, ახლა, მოგეხსენებათ, ნახევარფინალის ეტაპი დადგა, შესაძლოა ამ გადამწყვეტ ეტაპზე პროგნოზები სულ სხვაგვარი იყოს, თუმცა გფრ-ის, სსრ კავშირის, იტალიისა და ჰოლანდიის გუნდები კვლავ ჩემპიონობის კანდიდატები არიან.

საერთაშორისო პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა ფეხბურთელთა თამაშს ევროპის ჩემპიონატზე საერთოდ და ინგლისის გუნდთან — კერძოდ.

ჟურნალი „დიუ დიმანში“, პარიზი: „ინგლისელებმა ბრწყინვალე მეტოქესთან წააგეს, გამარჯვებულნი მხოლოდ ქების ღირსნი არიან, ხოლო ინგლისის ნაკრები მარტოოდენ სიბრალულის გრძნობას იმსახურებს“.

„პოლიტიკენი“, კოპენჰაგენი: „საბჭოთა ფეხბურთელებმა ძალზე ძლიერად ითამაშეს, მათი გამარჯვება არ შეიძლება ეჭვს იწვევდეს. ინგლისელებმა ვერაფერი შესთავაზეს ძლიერ მეტოქეს“.

დასავლეთ გერმანიის სააგენტო დპა-ს სპორტული მიმომხილველი იუწყება, რომ საბჭოთა ფეხბურთელებს ბოლო 16 წელია არ უთამაშიათ დიდი საერთაშორისო ტურნირის გადამწყვეტ ეტაპზე, ისინი ისე არიან ახლა გამარჯვებას „მოშიებულნი“, რომ შეუძლიათ სრული იმედი იქონიონ იტალიელებთან ნახევარფინალური მატჩისთვის. სააგენტოს მოჰყავს ვ. ლობანოვსკის სიტყვები: „საწინააღმდეგო არაფერი მაქვს თუ ჩვენი გუნდი ფინალში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს შეხვდება“. დპა-ს მიმომხილველი ბოლოს მაინც უმატებს: „საბჭოთა ნაკრები ახლაც, ჯგუფური ტურნირის დამთავრების შემდეგ, ისევ ამოუცნობი ნიშანია საერთაშორისო ფეხბურთში, დანამდვილებით არავინ იცის მისი პოტენციური ძალა და შესაძლებლობანი. ეს მეტად რაფინირებული, ბალეტისებური გუნდია“.

იტალიელთა მწვრთნელმა ა. ვიჩინმ განაცხადა, რომ სულ ახლახან, თებერვალში, იტალიელებმა ანგარიშით 4:1 დაამარცხეს საბჭოთა გუნდი, მაგრამ ის გამარჯვება ამხანაგურ მატჩში ყველამ უნდა დაივიწყოს, ახლა ევროპის ჩემპიონობაზეა ლაპარაკი. მისი სიტყვებით, იტალიელებმა გარკვეული სიფრთხილით უნდა თამაშონ, მაგრამ, ამავე დროს, — თამამადაც. ა. ვიჩინის იმისი იმედიც აქვს, რომ მის გუნდს მხარს დაუჭერს 30 ათასი „ტიფოზი“, სსრ კავშირის ნაკრებს კი ასეთი მხარდამჭერი ძალა ტრიბუნებზე არა ჰყავს.

ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური თამაშების დამთავრების შემდეგ დასავლეთგერმანელმა ჟურნალისტებმა ევროპის სიმბოლური ნაკრები შეადგინეს. მის შემადგენლობაში ორი საბჭოთა ფეხბურთელია — მეკარე რ. დასაევი და ნახევარმცველი ვ. რაცი. მათ გარდა, სიმბოლურ ნაკრებში დასახელებულნი არიან იტალიელები ვიალი, დონადონი, ბარეზი და ბერგომი, ჰოლანდიელები რიიკარდი, გულიტი და ვან ბასტენი, მათეუსი და კოლერი (გფრ) და სხვანი.

მაშ ასე: ევროპის VIII ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. დარჩა შემდეგი შეხვედრები:

21 ივნისი. ჰამბურგი. **გფრ — ჰოლანდია.**

22 ივნისი. შტუტგარტი. **სსრ კავშირი — იტალია.**

25 ივნისი. მიუნხენი. **ფინალი.**

ევროპის 1988 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში

ჩემპიონატის ქრონიკა

მატჩი № 9
გფრ — ესპანეთი 2:0.
I ჯგუფი. მიუნხენი. 17 ივნისი. მსაჯი მ. ვოტრო (საფრანგეთი). 72.308 მაყურებელი. გოლები: რ. ფელერი-2 (გფრ). გაფრთხილეს ო. ტონი, მ. ჰერგეტი (გფრ), მ. ვასკესი, რ. გორდილო, მ. ვიქტორი (ესპანეთი).

მატჩი № 10
იტალია — დანია 2:0
I ჯგუფი. კოლნი. 17 ივნისი. მსაჯი ბ. ჰალერი (შვეიცარია). 60.500 მაყურებელი. გოლები: ა. ალტობელი, ლ. დი აგოსტინი (იტალია). გაფრთხილეს ნ. ლაუდრუპი, ბ. ქრისტიანსენი (დანია).

მატჩი № 11
ირლანდია — ჰოლანდია 0:1
II ჯგუფი. გელზენკირჰენი. 18 ივნისი. მსაჯი ჰ. ბრუმაიერი (ავსტრია). 70.800 მაყურებელი. გოლი: ჯ. ვიფტი (ჰოლანდია). გაფრთხილეს ი. ვაუტერსი (ჰოლანდია).

მატჩი № 12
ინგლისი — სსრ კავშირი 1:3
II ჯგუფი. მაინის ფრანკფურტი. 18 ივნისი. მსაჯი ხ. დოს სანტოში (პორტუგალია). 53.000 მაყურებელი. გოლები: ტ. ადამსი (ინგლისი), ს. ალეინიკოვი, ა. მიხაილიჩენკო, ვ. პასულკო (სსრ კავშირი). გაფრთხილეს ო. პროტასოვი (სსრ კავშირი).

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობა: **დასაევი, ბესონოვი, ხიდიატულინი, კუზნეცოვი, რაცი, ალეინიკოვი, ლიტოვჩენკო, ზავაროვი (გოცმანოვი), პროტასოვი, ბელანოვი (პასულკო), მიხაილიჩენკო.**

ევროპის VIII ჩემპიონატის ჯგუფური თამაშის შედეგები:

1. გფრ — იტალია 1:1
2. დანია — ესპანეთი 2:3
3. ინგლისი — ირლანდია 0:1
4. **ჰოლანდია — სსრ კავშირი 0:1**
5. გფრ — დანია 2:0
6. იტალია — ესპანეთი 1:0
7. ინგლისი — ჰოლანდია 1:3
8. **ირლანდია—სსრ კავშირი 1:1**
9. გფრ — ესპანეთი 2:0
10. იტალია — დანია 2:0
11. ირლანდია — ჰოლანდია 0:1
12. **ინგლისი — სსრ კავშირი 1:3.**

სამხრეთ ამერიკის სუპერთასი

დამთავრდა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების უძლიერესი საფეხბურთო კლუბების გათამაშება, რომელსაც სუპერთასი ეწოდება.

თასი მოიპოვა არგენტინის „რეისინგმა“, რომელმაც პირველი მატჩი ბუენოს-აირესში მოუგო ბრაზილიის „კრუზეიროს“ — 2:1. სტუმრად კი, ბელუ-ორიზონტში, ფრედ ითამაშა — 1:1.

საერთაშორისო ტურნირი სეულში

მომავალი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქ სეულში გრძელდება დიდი საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში.

საბჭოთა კლუბების ნაკრებმა მეორე მატჩში — ინგლისის „ქუინზ პარკ რეინჯერსთან“ გაიმარჯვა ანგარიშით 3:0.

საქართველოს პირველობა

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის XVI ტურის შეხვედრები: „ივერია“ (ხაშური) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:1, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:1, „სულორი“ (ვანი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:1, „სქური“ (წალენჯიხა)— „შადრევანი“ (წყალტუბო) 2:3, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:3, „[illegible]აკი“ (ცხინვალი) — „დუ[illegible]“ (ყვარელი) 2:0, „დინამო“ (ზუგდიდი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 3:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 1:2, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:2, „მადნეული“ (ბოლნისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:0, „დინამო“ (გაგრა) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:0.

I ლიგა

19 ივნისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო თამაშების XVI ტურის მატჩები.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „უბანი“ (კრასნოდარი) 4:1 (3:0)

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 19 ივნისი.

„გურია“: ქანთარია, ბონდარუკი, ანდღულაძე, დანელია, პრიხოდკო, ცომაია, ყორდანია (გოგიჩაიშვილი), ხლუსი, იაგორსკი (ბარათაშვილი), ფრიდონაშვილი (კაკილაშვილი), გოგრიჭიანი.

„უბანი“: კულიში, ბაგაპოვი, ბუგაი, კოსტანდიანი, დორონჩენკო, გორიუნოვი, შიტიკოვი, მირნი, ხობოლი, პოდოლიაკი, იუდინი.

მსაჯი ი. დუტკო (ლვოვი).

ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა პირველივე წუთებიდან „მიაგნეს“ თავიანთ თამაშს და გაშლილი ფრონტით, კოლექტიურად შეუტიეს. „უბანის“ კართან შექმნილი რამდენიმე სახიფათო მომენტის შემდეგ, 22-ე წუთზე, ზუსტად ითამაშა ხლუსმა და გახსნა ანგარიში. იგივე ხლუსი შემდგომშიც მეტად აქტიურად, მონდომებით მოქმედებდა, ტაიმის დასასრულამდე მან კიდევ ორჯერ აიღო მეტოქის კარი — 3:0.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა საგრძნობლად მოუმატეს თამაშს, რამდენიმე სწრაფი შეტევა განახორციელეს და პისარენკომ საპასუხო ბურთიც გაიტანა, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე ორიოდე წუთით ადრე ბარათაშვილმა უფრო დააწინაურა თავისი გუნდი — 4:1.

აპოლონ ტარმოლაძე,
(ტელეფონით, „ლელის“ კორ.)

„დინამო“ (ბათუმი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 5:3 (3:1)

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 19 ივნისი.

„დინამო“: ბალაძე, მაჭუტაძე, მ. მახარაძე, დურდაძე, ჩიქოვანი, მჭედლიშვილი, თორღაშვილი, ათუაშვილი, ბიგვავა (გოგიტიძე), დ. მახარაძე (შანიძე), მაისურაძე.

„კოტაიკი“: ხუქიასიანი (სტეფანიანი), გევორქიანი, ბაღდასარიანი (სანამიანი), ფარხადანიანი, სააკიანი, პოღოსიანი, მელქონიანი, ზაჩატრიანი, აღასტიანი, აკოფიანი, მხითარიანი.

მსაჯი ტ. პეაიფერი (უუგოროდი).

გააფრთხილეს გოგიტიძე, გევორქიანი, სააკიანი.

ბათუმელმა ფეხბურთელებმა ამ მატჩში დიდი მონდომების გარდა კვალიფიციური თამაშიც გამოავლინეს. ეტყობა, ჩვენი გუნდის საქმე არც ისე უიმედოა, მაგრამ ბათუმელმა ფეხბურთელებმა მომავალშიც ასეთივე თავგამოდებით უნდა იბრძოლონ, თავიდან რომ აიცილონ აუტსაიდერთა უსიამოვნო პერსპექტივები. „კოტაიკი“ ძლიერი გუნდია, ამიტომაც მასთან მოპოვებული გამარჯვება გარკვეულ იმედებს გვისახავს.

უკვე მე-10 წუთზე ანგარიში იყო 2:1. პირველი ბურთი გაიტანა დ. მახარაძემ, შემდეგ აკოფიანმა გაათანაბრა ანგარიში, მერე კი მჭედლიშვილმა შორიდან ზუსტად გაგზავნა ბურთი მიზანში — 2:1. ტაიმის დასასრულამდე მაჭუტაძემ კიდევ ერთხელ დააწყებინა მეტოქეს ცენტრიდან თამაში.

განახლდა თამაში შესვენების შემდეგ და ბიგვავამ პირველივე წუთზე გაიტანა მეოთხე ბურთი. აქ დინამოელები ოდნავ მოდუნდნენ, ამით კარგად ისარგებლეს აბოვიანელმა ფეხბურთელებმა, პოღოსიანმა და სანამიანმა მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა ანგარიშში — 3:4.

და, მაინც, ბათუმელთა მონდომებამ თავისი გაიტანა: 87-ე წუთზე ათუაშვილმა თავით ბადეში გაგზავნა კუთხურიდან მოწოდებული ბურთი — 5:3.

ლევან ქავჭარაძე,
(ტელეფონით, „ლელის“ კორ.).

მომდევნო ტურის მატჩებს ჩვენი გუნდები 24 ივნისს გამართავენ. ლანჩხუთელები ლვოვში შეხვდებიან ადგილობრივ ასკ „კარპატის“, ხოლო ბათუმელები რიგაში ითამაშებენ „დაუგავასთან“.

XVI ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო“ (სტავროპოლი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 5:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ზვეზდა“ (პერმი) 1:2, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 1:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — ასკ (დონის როსტოვი) 1:1, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 1:3, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:3, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „პამირი“ (დუშანბე) 1:2, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 0:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„პამირი“	16	10	5	1	30-13	25
„დინამო“ სტ.	16	10	4	2	27-11	24
ცსკა	15	8	4	3	20-9	20
„გეოლოგი“	15	8	2	5	19-22	18
ასკ რ.	15	7	4	4	21-17	18
„ტავრია“	15	5	7	3	16-11	17
„ფახთაქორი“	16	5	7	4	19-16	17
ასკ „კარპატი“	15	7	2	6	24-14	16
„როტორი“	15	7	2	6	20-16	16
„კოტაიკი“	16	7	2	7	23-28	16
„როსტსელ.“	15	6	4	5	20-17	16
„გურია“	15	7	1	7	18-18	15
„სპარტაკი“	16	6	2	8	24-27	14
„დაუგავა“	15	5	4	6	19-17	14
„შინიკი“	15	5	4	6	14-18	14
„ყუბანი“	16	5	3	8	16-24	13
„კუზბასი“	15	5	3	7	9-17	13
„ზარია“	15	4	4	7	19-22	12
„კოლოსი“	15	4	3	8	10-16	11
„დინამო“ ბ.	15	5	0	10	15-23	10
„მეტალურგი“	15	2	6	7	8-19	10
„ზვეზდა“	15	1	5	9	11-27	7

ორგანიზატორების შეცდომა გასწორებულია

ტურნირის ეპო

სიხარულმა და ერთგვარი სიამაყის გრძნობამ დაისადგურა საქართველოს მოჭადრაკეთა ქუჩაზე — კიდევ ერთი საერთაშორისო დიდოსტატი მოევლინა ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეთა ამქარს, კიდევ ერთი ღირსეული წევრი შეემატა ქართულ საჭადრაკო სკოლას.

ზურაბ აზმაიფარაშვილი...

დიდი ხანი ველოდით მის დიდოსტატობას, მოთმინებით და ერთგვარი შიშითაც, ვაითუ... მაგრამ, საბედნიეროდ, შიში ამაო გამოდგა — ზურაბის მიერ შედგენილი ექვსწლიანი გეგმა (ამ ექვს წელიწადში იგი დიდოსტატიც უნდა გამხდარიყო და მსოფლიოს წამყვან მოჭადრაკეთა რიგებშიც უნდა ჩამდგარიყო) გრაფიკით მიდის — პირველი სამი წელიწადი აზმაიფარაშვილმა დიდოსტატის წოდების მოპოვებას მოანდომა...



◎ წინასწარ დასახული გეგმა ხომ არ შეგიცვლიათ? — ვეკითხებით ზურაბ აზმაიფარაშვილს.

— რას ბრძანებთ! ყველაფერს ვიღონებ, რომ მომდევნო სამ წელიწადში წამყვან მოჭადრაკეებს ამოვუდგე მხარში.

◎ ძნელი საქმეა.

— იმიტომაცაა საინტერესო. ცხოვრება ხომ ბრძოლაა. და რადგან ეს თამაში ავირჩიე ცხოვრების თანამგზავრად, ესე იგი, დაფაზე უნდა ვიბრძოლო, უშეღავათოდ უნდა ვიბრძოლო. მხოლოდ ამ შემთხვევაში მივიღებ სიამოვნებას.

◎ დიდოსტატის მეორე ბალი თქვენ სულ ახლახან, კუბის დედაქალაქ ჰავანაში, ხოსე რაულ კაპაბლანკას მემორიალში შეასრულეთ. თითქმის არაფერი ვიცით ამ შეჯიბრების შესახებ...

— წელს 23-ედ ჩატარდა გენიალური კუბელი მოჭადრაკის მემორიალი და იგი მსოფლიოს მესამე ჩემპიონის დაბადების ასი წლისთავს დაემთხვა. ფესტივალის პროგრამაში სამი ტურნირი შედიოდა — მთავარი (რომელშიც ვთამაშობდი), ოსტატებისა და ქალთა, რომელშიც ბრწყინვალედ ითამაშა ჩვენმა სახელოვანმა მოჭადრაკეებმა ნინო გურიელმა და ქეთევან არახამიამ. მათ შესაბამისად პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს.

ვცხოვრობდით და ვთამაშობდით სასტუმრო „ჰავანა ლიბრაში". საინტერესოა, რომ სამივე ტურნირი ერთ დარბაზში ჩატარდა, თითოეული — თითო მწკრივზე.

ვთამაშობდი ძალიან თავისუფლად, უშეცდომოდ, როგორღაც წინასწარ მჯეროდა, რომ ახლანდელ შანსს არ გავუშვებდი ხელიდან. მეორეს მხრივ, ეჭვიც მაწვალებდა — მე ხომ წელიწადნახევარი არ მეთამაშა. საბოლოოდ ხუთი პარტია მოვიგე (დიდოსტატებთან ლოტარ ფოგტ-

თან და ამადორ როდრიგესთან, საერთაშორისო ოსტატებთან: მილკა პოპჩევთან, ეოქუინ დიასთან და ჟილბერტო მილასთან) და ექვსი ყაიმით დავამთავრე (დიდოსტატებთან გარსია პალერმოსთან, ხესუს ნოგეირასთან, იოსებ დორფმანთან, ალონსო ზაპატასთან, მანუელ რივასთან და ხულიო გრანდასთან), დავაგროვე 8 ქულა და ერთი ქულით გადავაჭარბე ტურნირზე დაწესებულ დიდოსტატის ნორმას.

◎ სხვა რამ დასამახსოვრებელი ხომ არ ყოფილა?

— ორგანიზატორებმა ფესტივალზე საპატიო სტუმრად მოიწვიეს პირველი მემორიალის გამარჯვებული მიგელ ნაიდორფი. თითქმის ყველა ტურზე დარბაზში შემოდიოდა ერთი ხანშიშესული მამაკაცი სიგარით. თურმე კაპაბლანკას მეგობარი ყოფილა.

ახლა კი ორი კურიოზული შემთხვევა მინდა გავიხსენო. ორგანიზატორებმა მექანიკური შეცდომა დაუშვეს და ჩემს სავიზიტო ბარათში „გამიზარდეს" ტიტული — საერთაშორისო დიდოსტატი ჩამიწერეს. ვერასდიდებით ვერ შევაცვლევინე, მერე კი ვუთხარი, რა გაეწყობა, ხომ არ გაგაწბილებთ, ისღა დამრჩენია, შევასრულო- მეთქი დიდოსტატის ნორმა.

ახლა, რა დუმართა ქეთევან არახამიას? მის სავიზიტო ბარათში დიდოსტატის ნაცვლად საერთაშორისო ოსტატი ჩაწერეს, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. არახამიას კუბაში ყველა იცხობდა როგორც ქეთევანს, ანუ გვარის ნაცვლად სახელი იყო ჩაწერილი და ყველა ასეც მოიხსენიებდა — საბჭოთა მოჭადრაკე ქეთევანი.

◎ მაშ ასე, საქართველოს დიდოსტატ ვაუთა მცირერიცხოვან რაზმს კიდევ ერთი ახალი წევრი შეემატა...

— სულ მალე ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება, მჯერა ამისა, ელიზბარ უბილავს ბევრჯერ არ გაუმართლა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს სიმართლემ ხომ უნდა იპოვოს თავისი გზა...

ესაუბრა დავით ბელიძე.

საჭადრაკო კონკურსი

„რუსთავი-40"

1988 წელს რუსთავის განათლების განყოფილებამ საბჭოთა კავშირში პირველმა ჩატარა საკავშირო კონკურსი საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებისა და მოსწავლეების მონაწილეობით. კონკურსმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა და მონაწილეთა ერთსულოვანი აღიარებით იგი საჭადრაკო კომპოზიციის პოპულარიზაციის საუკეთესო საშუალება გახდა. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა სურვილები, რომ კონკურსი ტრადიციული გამხდარიყო.

და, აი, მიმდინარე წელს რუსთავის განათლების განყოფილება ქალაქის დაარსების 40 წლისთავთან დაკავშირებით აწყობს თავის მეორე საკავშირო კონკურსს ორსვლიანი და სამსვლიანი ამოცანების შედგენაში. გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრიზები, საპატიო და საქები შეფასებები. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ უმაღლესი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების პედაგოგებსა და მოსწავლეებს. მონაწილეებმა ადრე გამოუქვეყნებელი ამოცანები უნდა გამოგზავნონ 1988 წლის 1 ნოემბრამდე მისამართით: 383040, საქართველოს სსრ, რუსდავი, ლენინის ქ. № 20, სახალხო განათლების განყოფილება. წარწერით კონვერტზე „საჭადრაკო კონკურსი „რუსთავი-40". მსაჯები: ორსვლიანი ამოცანები — გ. მოსიაშვილი (რუსთავი), სამსვლიანი ამოცანები — ი. აკობია (თბილისი).

ციხეზერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 21 ივნისი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში— **19.15 (2);** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (გადაცემა ინგლისიდან) — **21.15 (2)** და **24.00 (2);** ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში: ნახევარფინალი — **23.10 (1).**

საქართველოს ტელევიზია. 21 ივნისი. ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში: ნახევარფინალი — **23.10.**

„სპორტლოტო"

გუშინწინ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი, 25-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45"-დან: 8 (ტრეკზე ველორბოლა), 12 (ტანვარჯიში), 19 (სათხილამურო რბოლები), 22 (წყალში ხტომა), 41 (მაგიდის ჩოგბურთი), 45 (შაში).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 1 (საგზატკეცილო ველორბოლა), 10 (წყალბურთი), 23 (თხილამურებით ხტომა და ორეული), 28 (ტყვიის სროლა), 31 (ფარიკაობა).

„სპორტპროგნოზი"

24-ე ტირაჟის შედეგები (11-12 ივნისი)

სპორტლი ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეჯამა „სპორტპროგნოზის" 24-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 11-12 ივნისს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 4.332.461 ვარიანტი. 13 შედეგი არავის გამოუცვნია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (16) მოგებამ შეადგინა 8.123 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (231) — 2.250 მანეთი.

24-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1988 წლის 2 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით.

• • •

25-ე ტირაჟის შედეგები (18-19 ივნისი)

1—2, 2—2, 3—1, 4—1, 5—2, 6—X, 7—X, 8—2, 9—2, 10—1, 11—1, 12—2, 13—X.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

ყველა ადგილი

მოსკოვი. როგორც ვიუწყებოდით, დამთავრდა წყალბურთელთა 44-ე საკავშირო ჩემპიონატი. ბოლო ტურში თბილისის „დინამოსა" და კიდევ რამდენიმე გუნდის შედეგების შესახებ მკითხველებმა უკვე იციან. სხვა მატჩები კი ასე დამთავრდა: კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) — „ლოკომოტივი" (ხარკოვი) 6:9, „დინამო" (ალმა-ათა) — „მოსკვიჩი" 11:6, შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტილია (სევასტოპოლი) — უნივერსიტეტი (მოსკოვი) 8:9.

გამოვლინდნენ ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეები. ესენი არიან: მეკარე — ე. შარონოვი („მოსკვიჩი"), მცველი — ა. კოლოტოვი (ცსკ ვმფ), ნახევარმცველი — ს. ნაუმოვი (უნივერსიტეტი), თავდამსხმელი — გ. შშვენიერაძე („დინამო") მოსკოვი.

ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკ ვმფ	22	18	3	1	240-158	39
„დინამო" (მოსკოვი)	22	17	4	1	232-156	38
„დინამო" (ალმა-ათა)	22	15	1	6	211-167	31
„დინამო" (ლვოვი)	22	13	4	5	189-171	30
უნივერსიტ.	22	13	3	6	183-156	29
„დინამო" (თბილისი)	22	9	6	7	167-169	24
„დინამო" (კიევი)	22	9	4	9	178-180	22
კმფ (ბაქო)	22	6	3	13	182-222	15
„ლოკომოტივი" (ხარკოვი)	22	4	4	14	148-185	12
„მოსკვიჩი"	22	4	3	15	142-175	11
კჩფ (ხეთას.)	22	3	3	16	147-188	9
ასკ (მინსკი)	22	1	2	19	150-230	4

„ბოსტონ სელტიქსის" მარცხი

ნბა-ს ჩემპიონატის ნახევარფინალური სერიის მთავარი მოულოდნელობა „ბოსტონ სელტიქსის" დამარცხება იყო. მისი მეტოქის „დეტროიტ პისტონსის" წარმატება მნიშვნელოვანწილად განაპირობა ორმა გამარჯვებამ ბოსტონში. იქვე მეხუთე მატჩი გადამწყვეტი აღმოჩნდა. თომასის (35 ქულა) ბრწყინვალე თამაშის წყალობით „დეტროიტმა" დაამარცხა მრისხანე მეტოქე (103:96). დეტროიტელი ზამბარები (გუნდის სახელი ქართულად) ძალიან ახლოს იყვნენ მიზანთან, რადგან მეექვსე მატჩს ისინი საკუთარ მოედანზე ატარებდნენ. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ „ბოსტონ სელტიქსი" წლეულს ერთხელ უკვე იყო მსგავს ექსტრემალურ სიტუაციაში. ეს მოხდა „ატალანტა ჰოუქსთან" მეოთხედფინალურ მატჩში, მაშინაც მეხუთე მატჩი ბოსტონში „სელტიქსმა" წააგო 104:112, ხოლო მეექვსე მატჩში ატალანტაში შეძლო რევანშის აღება — 101:99. ამჯერად ამ გუნდმა ვერ დააღწია თავი რთულ სიტუაციას, რასაც მიმმხილველები, პირველ ყოვლისა, ლარი ბიორდის (16 ქულა) დაბალ შედეგიანობას უკავშირებენ. მასპინძელთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ ჯონსონი (24 ქულა) და დენტლი (22). 95:90 გაიმარჯვა „დეტროიტმა". სერიის საბოლოო შედეგი ასეთია — 4:2 „დეტროიტ პისტონსის" სასარგებლოდ.

ფინალში მისი მეტოქე იქნება „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი", რომელმაც დაამარცხა „დალას მავერიქსი". გადამწყვეტი მეშვიდე მატჩი ლოს-ანჯელესში „ლეიკერსმა" მოიგო — 117:102 და სერიის ანგარიში გახდა 4:3.

მერაბ კალანდაძე.

კასპაროვი პოზიციებს არ თმობს

საფრანგეთის ქალაქ ბელფორში გრძელდება მოჭადრაკე ვაუთა „მსოფლიო თასის" გათამაშების მეორე ეტაპი. გთავაზობთ IV და V ტურების ტექნიკურ შედეგებს.

IV ტური: ელვესტი-სპილმენი — 1:0, კასპაროვი-ჰიუბნერი — 0,5:0,5, კარპოვი-ლიუბოევიჩი — 0,5:0,5, ანდერსონი-ჰიარტარსონი — 0:1, ბელიავსკი-სპასკი — 0,5:0,5, შორტი-ტიმანი — 0,5:0,5, სოკოლოვი-რიბლი — 0,5:0,5, იუსუპოვი--ნოგეირასი — 0,5:0,5. **V ტური:** ტიმანი-კასპაროვი — 0:1, სპასკი-ელვესტი — 0,5:0,5, ნოგეირასი-კარპოვი — 0:1, რიბლი-იუსუპოვი — 0,5:0,5, ჰიუბნერი-სოკოლოვი — 0,5:0,5, სპილმენი-შორტი — 0,5:0,5, ჰიარტარსონი-ბელიავსკი — 0:1, ლიუბოევიჩი-ანდერსონი — 0,5:0,5.

ამრიგად, 5 ტურის შემდეგ შეჯიბრების კვლავ მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი ლიდერობს — 4 ქულა, 3,5 ქულა აქვს იან ელვესტს. 3-3 ქულა მოაგროვეს ანატოლი კარპოვმა და ბორის სპასკიმ.

პირველი ჩემპიონი

ცხაკაიას საჭადრაკო კლუბ „მხედრულში" დამთავრდა პროფკავშირული სპორტული საზოგადოების ვაუთა პირველი რესპუბლიკური ჩემპიონატი.

შესანიშნავად ითამაშა ადგილობრივმა ოსტატობის კანდიდატმა გოჩა ტყეებუჩავამ. მან 9 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა (7 მოგება, 2 ყაიმი) და ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

განსაკუთრებით აღსანიშნაია აქაური მე-5 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლის, 15 წლის ოსტატობის კანდიდატის რომან სიჭინავას (მწვრთნელი გოჩა ტყეებუჩავა) — წარმატება. 7,5 ქულით იგი მეორე საპრიზო ადგილს დაეუფლა.

III ადგილზე გავიდა ოსტატი ჰენრიეტა ლაგვილავა — 6,5 ქულა.

ოთარ თვალთვაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ფელეტონი — ეკიმოსელი



ინგლისი (ინგლისი). ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მინსკელი ნატალია ზვერევა და ამერიკელი მარტინა ნავრატილოვა, რომელმაც საფრანგეთის ღია ჩემპიონატში დამარცხების რევანში აიღო — 6:2, 6:2.

კუალა-ლუმპური (მალაიზია). კალათბურთელ ქალთა ოლიმპიურ ტურნირში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი 83:49 და სეულის საგზური გაინაღდა. ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებენ აგრეთვე იუგოსლავიის, ჩინეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრალიის გუნდები.

ლენინგრადი. მინსკელი ალექსანდრე რომანკოვი მეშვიდედ გახდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი რაპირით ფარიკაობაში. ვერცხლის მედალი ლენინგრადელმა ალექსეი შევცოვმა მოიგო, ბრინჯაოსი — უფელმა ანგარ იბრაჰიმოვმა. საბჭოთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ალექსანდრე ბერეკოლსკის აზრით, რამდენიმე წამყვანი მოფარიკავე შეჯიბრებამდე „გადაიწვა" და ამის გამო სუსტად გამოვიდა. მწვრთნელმა პირველ რიგში თბილისელი ვლადიმერ აფციაური და დმიტრი შევჩენკო დასახელა, რომლებიც ფინალში ვერ გავიდნენ.

„ლელოს" აპრილის ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ოლარტიკოეჩეა, 6. კარასკო, 9. დესმეტი, 10. შორტი, 12. კინალია, 12. ამორო, 16. ორლანდო, 18. ედუ, 19. კრაუზე, 20. უარკი, 21. ბრო, 22. ივანოვი, 24. ივიჩი, 25. იანსენი, 27. ლეივინია, 30. ბორდო, 34. „ლიუნგბიუ", 35. ჩერნიატინსკი.

შვეულად: 2. ალდოი, 3. ოკუდერა, 4. ჰელდი, 5. არნესენი, 7. როშტო, 8. შლივო, 11. მეხელენი, 13. კენდალი, 13. ახტაევი, 14. ალენი, 15. ობერი, 16. ონდრუში, 17. ოლდრიჯი, 23. კარპოვი, 26. ჰერცოგი, 28. ოლაიჩეა, 29. ლიბა, 31. „კარპატი", 32. კროი, 33. „სელტიკი".

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მარიდე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 60435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარიულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05400

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.